



**"ენერგოეფექტურობის
ცენტრის"
ყოველკვირული
საინფორმაციო
ბიულეტენი**



N 19, 2021

სარჩევი

ნავთობი და გაზი	2
თურქმენეთი ევროპაში “ლურჯ საწვავს” გაზის სამხრეთ კორიდორით გაიტანს.....	2
აშშ-ის უდიდეს ნავთობსადენზე კიბერთავდასხმის შემდეგ მსოფლიოში ნავთობის ფასი გაიზარდა	2
ელექტროენერგეტიკა.....	3
„რეფორმის მთავარი წარმატება იქნება, თუ ჩვენ მივიღებთ სამართლიან საბაზრო ფასს“ – ირინა მილორავა	3
იმპორტირებული ელექტროენერჯის საკონტრაქტო ფასი გასაჯაროვდება.....	4
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა.....	4
აშშ-ში ქარის ყველაზე მასშტაბური სანაპირო სადგური აშენდება	4
იაპონია აპირებს, 2030 წლისთვის მზისა და ქარის ენერჯის წილი საერთო მოხმარებაში 40%-მდე გაზარდოს	5
კლიმატის ცვლილება.....	5
ყოველწლიურად კაცობრიობა 73% -ით მეტ რესურსს მოიხმარს, ვიდრე დედამიწა 1 წელიწადში ქმნის.....	5
კანაფისგან აგებული სახლები - ეკოლოგიურად სუფთა, სასარგებლო და ჯანსაღი	6
პუბლიკაციები.....	7
ღონისძიებები	7

ნავთობი და გაზი

თურქმენეთი ევროპაში “ლურჯ საწვავს” გაზის სამხრეთ კორიდორით გაიტანს

თურქმენეთისა და აზერბაიჯანის მიერ კასპიის ზღვაში დოსტლუკის საბადოების განვითარება საშუალებას მისცემს ბუნებრივი გაზის ექსპორტს დასავლეთში, – ამის შესახებ “თურქმენგაზის” თავმჯდომარის მოადგილემ გუვანჩ ალაღჯანოვმა, განაცხადა თურქმენეთის ნავთობისა და გაზის სექტორში საინვესტიციო საერთაშორისო ფორუმზე.

მისი განმარტებით, თურქმენეთიდან ევროპის ქვეყნებში “ლურჯი საწვავის” ექსპორტი შესაძლებელი გახდება ტრანსკასპიური გაზსადენით, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება დაკავშირებული იყოს სამხრეთ გაზის დერეფანთან, რომლითაც აზერბაიჯანული გაზი გადის ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოსა და თურქეთის გავლით.

ცნობისთვის, დოსტლუკის საბადოზე ნახშირწყალბადების რესურსების ერთობლივ კვლევაზე აზერბაიჯანი და თურქმენეთი შეთანხმდნენ 2021 წლის 21 იანვარს, როცა მხარეებმა გააფორმეს ურთიერთგაგების მემორანდუმი.

ამავე ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის (SOCAR) პრეზიდენტმა როვნაგ აბდულაევმა აზერბაიჯანი-თურქმენეთის თანამშრომლობის განვითარების ახალ შესაძლებლობად დაასახელა სამხრეთ გაზის დერეფანი (SGC), რომლითაც ისტორიაში პირველად, აზერბაიჯანმა მოახერხა ბუნებრივი გაზის ექსპორტი ევროპის ბაზრებზე.

TANAP-ი წყალბადის ტრანსპორტირებისთვისაც მზადაა. ვარაუდობენ, რომ მომავალში 20% წყალბადის შემცველმა ნარევმა შეიძლება გაიაროს TANAP-ში. მწვანე წყალბადის ექსპორტს TAP-ით საბერძნეთივ აპირებს.

<https://cutt.ly/MbCcq3Z>

აშშ-ის უდიდეს ნავთობსადენზე კიბერთავდასხმის შემდეგ მსოფლიოში ნავთობის ფასი გაიზარდა

აშშ-ში საწვავის უდიდეს მილსადენ Colonial Pipeline-ზე განხორციელებული კიბერშეტევის შედეგად ნავთობზე მსოფლიო ფასები ზრდას განაგრძობს.

The Wall Street Journal-ის მონაცემებით, ნიუ-იორკის სავაჭრო ბირჟა NYMEX-ზე WTI ბრენდის ნედლე ნავთობზე ბარელის ამჟამინდელი ფასი 65,22 დოლარია, რაც წინა დახურულ სესიასთან შედარებით 0,32 დოლარით, 0,51%-ით მეტია.

რაც შეეხება Brent-ის ნედლე ნავთობის ფასს, ლონდონის ბირჟა ICE Futures-ზე ბარელის მიმდინარე ფასი 68,60 დოლარია, რაც წინა დახურულ სესიასთან შედარებით 0,32 დოლარით, 0,47%-ით მეტია. ვაჭრობა 68,76 დოლარით გაიხსნა და მისი 1-დღიანი დიაპაზონი ბარელზე 68,44-დან 68,20 დოლარამდეა.

Colonial Pipeline მილსადენი დღეში 2.5 მილიონ ბარელ საწვავს ატარებს, რაც აღმოსავლეთ სანაპიროზე მიწოდებული დიზელის, ბენზინისა და რეაქტიული საწვავის 45%-ია. მისი მუშაობა ჯერ ისევ შეჩერებულია. ING-ის ანალიტიკოსების შეფასებით, რაც უფრო დიდხანს

გაგრძელდება ასეთი მდგომარეობა, მით უფრო მეტად იქონიებს გავლენას ნავთობის მსოფლიო ფასების ზრდაზე.

რამდენიმე წყარომ დაადასტურა, რომ გამოსასყიდის მოთხოვნის მიზნით განხორციელებული კიბერშეტევის უკან კიბერ-კრიმინალური დაჯგუფება Dark Side დგას, რომელმაც Colonial Pipeline-ის ქსელში შეაღწია და თითქმის 100 გბ მონაცემები „მძევლად აიყვანა.“ მილსადენზე კიბერშეტევის შემდეგ აშშ-ის მთავრობამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

<https://cutt.ly/RbCx6mi>

ელექტროენერგეტიკა

„რეფორმის მთავარი წარმატება იქნება, თუ ჩვენ მივიღებთ სამართლიან საბაზრო ფასს“ – ირინა მილორავა

უკვე ცნობილია, რომ ზაფხულიდან განხორციელდება მორიგი ენერგეტიკული რეფორმა. კერძოდ, 1 ივლისიდან მუშაობას შეუდგება საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა. ბირჟაზე, ანუ ონლაინ პლატფორმაზე, ელექტროენერგიით ვაჭრობას შეძლებენ რეგისტრირებული სუბიექტები. რეფორმის უმთავრესი მიზანი ბაზრის გახსნა და კონკურენტულ გარემოში ფასწარმოქმნის პროცესის ხელშეწყობაა. ბირჟის როლსა და პერსპექტივაზე ისაუბრა ბირჟის გენერალურმა დირექტორმა ქ-ნ ირინა მილორავამ.

რა სარგებელს უნდა ელოდოს ენერგეტიკული ბაზარი ენერგეტიკული ბირჟის ფუნქციონირებიდან?

ბირჟის გამართული ფუნქციონირება ძალიან მნიშვნელოვანია ბაზრის ახალი მოდელის წარმატებისთვის. ბირჟის მნიშვნელობას განაპირობებს ის სიახლეები, რომელსაც მიმდინარე რეფორმა ითვალისწინებს. პირველ რიგში, ეს ეხება საათობრივ ვაჭრობაზე გადასვლას და მონაწილეებისათვის უზალანსობაზე პასუხისმგებლობის დაკისრებას.

ბაზრის მონაწილეებს რჩებათ შესაძლებლობა ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე შეისყიდონ გრძელვადიანი პროდუქტები, მაგრამ, ელექტროენერგიის, როგორც პროდუქტის სპეციფიკური ბუნების გათვალისწინებით, როგორც წესი, აუცილებელი ხდება მოკლევადიან პერიოდში ამ გეგმების კორექტირება სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო. თუ მოხმარებელს დაგეგმილი აქვს წლიურად, სტაბილურად, ყოველსაათობრივად 100 მეგავატის მოხმარება და ამ რაოდენობაზე გაფორმებული აქვს წლიური ორმხრივი კონტრაქტი, თავისუფლად შესაძლებელია, რომ კონკრეტულ დღეს მას დასჭირდეს დამატებითი ენერგიის შესყიდვა, მოხმარების ზრდის გამო ან პირიქით – ელექტროენერგიის გაყიდვა, ვინაიდან აღარ აპირებს შესყიდული ელექტროენერგიის მოხმარებას მის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირების გამო. ორივე შემთხვევაში ბაზრის მონაწილეს შეუძლია შეისყიდოს საჭირო ენერგია ან გაყიდოს ჭარბი ენერგობირჟაზე.

<https://cutt.ly/dbCx7gQ>

იმპორტირებული ელექტროენერჯის საკონტრაქტო ფასი გასაჯაროვდება

იმპორტირებული ელექტროენერჯის საკონტრაქტო ფასი საჯარო იქნება, - ამის შესახებ სემეკის თავმჯდომარემ, დავით ნარმანიამ განაცხადა. მისი განმარტებით, ეს მას შემდეგ მოხდება, რაც ახალი წესები დადგინდება მარეგულირებელი კომისიის მიერ. ნარმანიას ინფორმაციით, საქართველოში მარეგულირებელი ნორმების ევროპულ კანონმდებლობასთან სინქრონიზაცი მიმდინარეობს.

„მიმდინარე წლის განმავლობაში ჩვენ მივიღებთ დამატებით რამდენიმე წესს და რეგულაციას, რაც საბოლოოდ დაარეგულირებს გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს. ზოგადად, კომისიის მხრიდან კიდევ უფრო გაძლიერდება მიმართულება, რაც მონიტორინგს გულისხმობს, საიმისოდ, რომ ბაზრის არცერთ სეგმენტში არ მოხდეს ფასების ხელოვნური დამახინჯება და რომელიმე აქტორმა არამართლზომიერად არ ისარგებლოს ამა თუ იმ მომენტში თავისი დომინანტური მდგომარეობით“, - აღნიშნა დავით ნარმანიამ.

იმპორტირებული ელექტროენერჯის ტარიფების გასაჯაროებას "აფბა" დიდი ხანია ითხოვს.

<https://cutt.ly/rbIDQSy>

განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

აშშ-ში ქარის ყველაზე მასშტაბური სანაპირო სადგური აშენდება

ბაიდენის ადმინისტრაციამ ახლახან საბოლოოდ დაამტკიცა Vineyard Wind პროექტი, რომელიც მასაჩუსეტსის შტატში ქარის უზარმაზარი სანაპირო სადგურის "გაშენებას" ისახავს მიზნად.

New York Times-ის მიხედვით, ეს სადგური აშშ-ში ამ ტიპის პირველი მასშტაბური ობიექტი იქნება, რომელიც საბოლოოდ 84 ტურბინას მოიცავს და მასაჩუსეტსის შტატის კუნძულ მარტას ვენახზე, სანაპიროდან დაახლოებით 24 კილომეტრის დაშორებით განთავსდება. ფუნქციონირების დაწყების შემდეგ, ოფიციალური პირების მოლოდინით, სადგურმა 800 მეგავატი სუფთა ენერჯია უნდა აწარმოოს — ეს იქნება ბაიდენის მმართველობაში კლიმატისა და ენერჯის მიზნების შესასრულებლად გადადგმული პირველი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი.

აშშ-ს მოქმედმა პრეზიდენტმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ 2030 წლისთვის ისინი მიზნად ისახავენ ქარის სადგურებით 30 გიგავატი (30 000 მეგავატი) ენერჯის წარმოებას. Vineyard Wind ამ რაოდენობის მხოლოდ 2.7%-ს დაფარავს, თუმცა, როგორც NYT იუწყება, მომავალი რამდენიმე წლის მანძილზე ამ სადგურისგან სხვა პროექტების განხორციელებასაც მოელიან.

ექსპერტებმა NYT-ს განუცხადეს, რომ ახლა, როდესაც Vineyard Wind პროექტმა საბოლოო დასტური მიიღო, სავარაუდოდ, ამავე ბედს გაიზიარებენ ქარის სადგურის სხვა პროექტებიც, რომლებიც აღმოსავლეთ სანაპიროზე გეგმავენ სადგურების დადგმას. იმ შემთხვევაში, თუ ყველა ეს პროექტი განხორციელდება, მაშინ, სავარაუდოდ, ამ ათწლეულის ბოლოს ამერიკის სანაპიროებზე მინიმუმ 2 000 ქარის ტურბინა იმუშავებს.

<http://go.on.ge/28p2>

იაპონია აპირებს, 2030 წლისთვის მზისა და ქარის ენერჯის წილი საერთო მოხმარებაში 40%-მდე გაზარდოს

იაპონიის ხელისუფლება გეგმავს, 2030 წლისთვის 40%-მდე გაზარდოს ქვეყნის საერთო მოხმარებაში ენერჯის წილი, რომელსაც გამოიმუშავენ მზის, ქარის და სხვა განახლებადი წყაროებიდან. ამის შესახებ იაპონური მედია ქვეყნის ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროში საკუთარ წყაროზე დაყრდნობით წერს.

ამ დრომდე ტოკიოს გეგმაში ჰქონდა განახლებადი ენერჯის წილი 2030 წლისთვის 22-24%-მდე გაეზარდა. ამჟამად, მათზე მოდის მხოლოდ 18%, ასე რომ, საუბარია 10 წელზე ნაკლებ დროში მონაცემის გაორმაგებაზე.

ამავე გეგმის მიხედვით, ატომურმა სადგურებმა უნდა გამოიმუშაონ საერთო მოხმარების ენერჯის 20%. რისთვისაც საჭირო იქნება 30 რეაქტორის ამუშავება. როგორც ცნობილია, ფუკუსიმა-1-ის ავარიის შემდეგ ქვეყანამ ატომური სადგურების უსაფრთხოების უმკაცრესი ზომები დაწერა. შედეგად, ქვეყანაში ახლა მხოლოდ 9 რეაქტორი მუშაობს, ხოლო დანარჩენი ტექნიკური გადაიარაღებისა და შემოწმების პროცესშია. ახლა მათ ადგილს ქვეყნის ენერჯეტიკაში იკავებს თბოსადგურები, რომელთა წილი გეგმის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდება, ვინაიდან ისინი ატმოსფეროს ყველაზე მეტად დამაბინძურებლები არიან.

იაპონიის პრემიერ-მინისტრის ესიხიდე სუგას თქმით, 2050 წლისთვის იაპონიაში საავტომობილო და სამრეწველო ემისიები ნულის ტოლი გახდება. 2030 წლისთვის კი ის 46%-ით უნდა შემცირდეს 2013 წელთან შედარებით.

<https://cutt.ly/VbCx8ph>

კლიმატის ცვლილება

ყოველწლიურად კაცობრიობა 73% -ით მეტ რესურსს მოიხმარს, ვიდრე დედამიწა 1 წელიწადში ქმნის

ადამიანები ყოველწლიურად 73%-ით მეტ რესურსებს მოიხმარენ, ვიდრე დედამიწა ამავე პერიოდში აწარმოებს, – ასეთია კვლევის შედეგები, რომელიც მსოფლიოს ბიოპოტენციალის დეფიციტს შეეხებოდა. ეს რთული ტერმინი ნიშნავს ეკოსისტემის მიერ რესურსების გამომუშავების პოტენციალს კაცობრიობის მოხმარებასთან შედარებით. თუ ადამიანი მსოფლიო ბიოლოგიურ პოტენციალზე მეტი რესურსების მოხმარებას განაგრძობს, საბოლოო ჯამში რესურსების ბუნებრივი დონე შემცირდება და ერთხელაც მთლიანად ამოიწურება.

ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მდიდარი ქვეყნები ამ პრობლემას ჭარბი მოხმარებით ართულებენ და დედამიწის ღარიბ უმრავლესობას „ეკოლოგიურ სიღარიბეში“ ამყოფებენ.

1980 წელს კაცობრიობამ თავისი წლიური ბიოპოტენციალის 119% გამოიყენა, 2017 წელს კი ეს მაჩვენებელი 54%-ით 173%-მდე გაიზარდა. ეს მატება მდიდარი ქვეყნების ცხოვრების მაღალ დონესთანაა დაკავშირებული, რომლის შენარჩუნებასაც მეტი რესურსების მოხმარება სჭირდება.

ჟურნალ Nature Sustainability-ში გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, ბიოლოგიური პოტენციალის ჭარბი ხარჯვა ტყეების მაგალითზე ჩანს. თუ ყოველწლიურად მსოფლიოში არსებული ტყის ფონდის 2% გაიჩეხება, ასაკოვანი ხეები მსოფლიოში 25 წელიწადში გაქრება და ეს ჰიპოტეტური დაშვება კი არა, დღეს არსებული რეალობაა.

მაღალშემოსავლიან ქვეყნებში მოსახლეობის 14% ცხოვრობს, თუმცა, პლანეტის ბიოპოტენციალის 52%-ს სწორედ ისინი მოიხმარენ. მდიდარი ქვეყნები ასე შედიან იმ სახელმწიფოთა რიცხვში, რომლებშიც რესურსებზე მოთხოვნა მთელი მსოფლიოს ბუნებრივ პოტენციალს მნიშვნელოვნად აღემატება.

<https://cutt.ly/qbCcy01>

კანაფისგან აგებული სახლები - ეკოლოგიურად სუფთა, სასარგებლო და ჯანსაღი

კანაფი მშენებლობაში შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სამშენებლო მასალა, ასევე თბოსაიზოლაციო მასალა. კანაფი მრავალმხრივი მცენარეა. შეგიძლიათ მიირთვათ, ჩაიცვათ, სახლი ააშენოთ.

კანაფის ღეროს შიდა მერქნის ბირთვი - კოსტრა - ქმნის არატოქსიკურ, ნახშირბად-უარყოფით და ენერგოეფექტურ მასალას.



არსებობს საინტერესო მონაცემები, რომ 400 მმ სისქის, კოსტრათი დათბუნებული კედლების შემთხვევაში, მხოლოდ 3 კვტ.სთ ელექტროენერგია საჭიროა 100 მ² ფართობის ოთახის გასათბობად ზამთრის სეზონში.

ყველაზე ფართოდ კოსტრა გამოიყენება ხის კარკასული კერძო სახლებისა და კოტეჯების მშენებლობისთვის. იგი ასევე გამოიყენება როგორც თბო და ხმის იზოლაცია: იატაკების, კედლების, სახურავებისთვის.

ასეთ სახლებში კედლები ორთქლის გამტარია, ამიტომ არ არის საჭირო სავენტილაციო სისტემების დაყენება. კოსტრას ჰიგროსკოპიულობა ხელს უწყობს ზედმეტი ტენიანობის

შთანთქმას და შემდეგ გამოყოფას. ამრიგად, კანაფისგან აშენებული სახლები ეკოლოგიურად სუფთა, ენერგოეფექტური და ჯანსაღია.

ჰექტარი კანაფი 25%-ით მეტ ჟანგბადს აწარმოებს, ვიდრე ერთი ჰექტარი ტყე.

კანაფისგან ქაღალდის დამზადებით დაზოგავთ მილიონობით ჰექტარ ტყეს.

<https://cutt.ly/8bCx2e8>

პუბლიკაციები

საერთაშორისო ენერგეტიკული ქარტიის სამდივნომ გამოაქვეყნა [2020 წლის მე-4 კვარტალური საინფორმაციო ბიულეტენი](#)

განახლებადი ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IRENA) ახალი ანგარიში [Global Renewables Outlook 2050](#)

წარმოგიდგენთ პროფ. თეიმურაზ გოჩიტაშვილის ახლახან გამოქვეყნებულ ინგლისურ ენოვან მონოგრაფიას [„საქართველოს ნავთობისა და გაზის სექტორი გარდამავალ პერიოდში“](#)

ტექნიკური ანგარიში ევროკავშირის გათბობის სექტორის დეკარბონიზაციის შესახებ

გათბობისა და გაგრილების სექტორი ევროკავშირის მიერ აღიარებულია, როგორც პრიორიტეტი დეკარბონიზაციისა და ენერგოეფექტურობის მიზნების მისაღწევად. შენობების გათბობა-გაგრილება ევროპაში ენერჯის საბოლოო ჯამური მოხმარების თითქმის 40%-ს შეადგენს. ეს ანგარიში ფოკუსირებულია სითბოს და ელექტროენერჯის სექტორების ინტეგრაციაზე და იმაზე, თუ როგორ შეიძლება ეფექტურმა ინტეგრაციამ ხელი შეუწყოს ენერგოეფექტურობას და კლიმატის ცვლილების შერბილების მიზნებს.

<https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/208e7048-b406-11e9-9d01-01aa75ed71a1/language-en>

ღონისძიებები

ენერგოეფექტურობის დაფინანსების ვირტუალური ფორუმი 2021

თარიღი: 25–26 მაისი, 2021

ორგანიზატორი: ენერგოეფექტური ეკონომიკის ამერიკული საბჭო (ACEEE)

ადგილი: ვირტუალური ღონისძიება

<https://www.ecee.org/events/calendar/event/2020-energy-efficiency-finance-forum/>

ენერგოეფექტური ეკონომიკის ამერიკული საბჭოს (ECEE) 2021 წლის ენერგოეფექტურობის საზაფხულო სკოლა

თარიღი: 7-11 ივნისი, 2021

ადგილი: ვირტუალური ღონისძიება

პრეზენტაციები განაწილებულია ცხრა პანელში და მოიცავს ენერგოეფექტურობის საკითხების ფართო სპექტრს:

პანელი 1. ენერგომომხმარება და კეთილდღეობა

პანელი 2. პოლიტიკის ინოვაციები ქმედებათა მასშტაბურობის და მდგრადობის უზრუნველსაყოფად

პანელი 3. პოლიტიკა, ფინანსები და მმართველობა

პანელი 4. მონიტორინგი და შეფასება გონივრული, სწრაფი და ინკლუზიური გადასვლისთვის

პანელი 5. ახალი გონივრული სტარტი მდგრადი საზოგადოებისთვის

პანელი 6. ტრანსპორტი და მობილობა

პანელი 7. პოლიტიკა მწვანე აღდგენისათვის შენობების სექტორში

პანელი 8. შენობები: ენერგოეფექტურობის მიღმა მყოფი ტექნოლოგიები და სისტემები

პანელი 9. პროდუქცია, ხელსაწყოები, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

<https://www.eceee.org/summerstudy/>

მე-3 ევროპული კონფერენცია და გამოფენა - Biogas PowerON 2021

თარიღი: 1-2 სექტემბერი, 2021

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია

<https://cutt.ly/tvmpeeF>

მე-16 კონფერენცია ენერგეტიკის, წყალმომარაგების და გარემოსდაცვითი სისტემების მდგრადი განვითარების (SDEWES) საკითხებზე

თარიღი: 10-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: დუბროვნიკი, ხორვატია

Covid-19-ის სიტუაციის მიხედვით, კონფერენცია ჩატარდება ან ჰიბრიდულ, ან სრულად ონლაინ რეჟიმში.

<https://www.dubrovnik2021.sdewes.org/>

მე-14 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ენერგეტიკის და კლიმატის ცვლილების საკითხებზე

თარიღი: 13-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: ათენი, საბერძნეთი, ათენის ეროვნული უნივერსიტეტის შენობა "Kostis Palamas"

<https://promitheasconference.wordpress.com/>